გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრის მოადგილეს ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

შპს „მედიკალ ტექნოლოგი" გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. მარტყოფში, შესაბამისი ნებართვების ფარგლებში, ახორციელებს ნარჩენების დამუშავებას (დეტოქსიკაცია) და განთავსებას (ინსინერაცია).

იქიდან გამომდინარე, რომ საწარმოში განთავსებულ ინსინერატორებში შესაძლებელია გაცილებით მეტი სახეობის ნარჩენის გაუვნებლება (ინსინერაცია), საწარმომ მიიღო გადაწყვეტილება, გაზარდოს საწარმოში გაუვნებლებას (ინსინერაცაი) დაქვემდებარებული ნარჩენების სახეობა.

საწარმოს მიერ დაგეგმილი საქმიანობა, არ გამოიწვევს საწარმოს წარმადობის გაზრდას (ცვლილებას) და ასევე არ იქნება დაკავშირებული ემისიების სახეობების ცვლილებასთან. ემისიების რაოდენობრივ ცვლილებასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ემისიების ანგარიში შესრულებულია საწარმოს მაქსიმალური წარმადობის გათვალისწინებით და ემისიების რაოდენობა, არ გადააჭარბებს სამინისტროსთან შეთანხმებულ ზდგ ნორმაში ასახულ ემისიების რაოდენობას.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის მე-13 ნაწილის თანახმად, „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა" და აღნიშნულის გათვალისწინებით, საწარმოში გასაუვნებელი ნარჩენების სახეობების ცვლილებასთან დაკავშირებით, მომზადდა სკრინინგის ანგარიში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად, წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი:

1. სკრინინგის ანგარიში -ელ. ვერსია
2. საწარმოს GIS კოორდინატები shp ფაილების სახით - ელ. ვერსია.

პატივისცემით,

შპს „მედიკალ ტექნოლოგის" დირექტორი
გია გოგბაიძე

№ 17239
24 09 2021